

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა**

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი არის ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის ან/და სენსორული (სმენისა და მხედველობის) ან/და ქცევითი და ემოციური დარღვევის ან/და ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირი, რომლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დასტურდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.
2. კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის).
3. ინკლუზიური პროფესიული განათლება არის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით;
5. ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელი და მოწვეული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები – სპეციალური მასწავლებელი/ფსიქოლოგი/ოკუპაციური თერაპევტი/ენისა და მეტყველების სპეციალისტი/ჟესტური ენის თარჯიმანი/ჟესტური ენის სპეციალისტი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.
6. მოწვეული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტთან – სპეციალური მასწავლებელი/ფსიქოლოგი/ოკუპაციური თერაპევტი/ენისა და მეტყველების სპეციალისტი/ჟესტური ენის თარჯიმანი/ჟესტური ენის სპეციალისტი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.
7. წინამდებარე მუხლის მე 5. პუნქტში მითითებული სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ საჭიროების შემთხვევაში მოხდება:
  - 7.1. სასწავლო ფართის სრულად ადაპტირება;
  - 7.2. სსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
  - 7.3. საჭიროების შემთხვევაში სსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფა.

7.4.სწავლების/შეფასების მეთოდებისა და აქტივობების რელევანტურობის განსაზღვრა გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე;

7.5.მატერიალური და სასწავლო რესურსის განსაზღვრა;

7.6.სასწავლო განრიგისა და კვირეული დატვირთვის განსაზღვრა;

8.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

9.სასწავლო გეგმის/პროგრამის განხორციელების კონტროლს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

10.სასწავლო პროცესის/პროგრამის განხორციელების მონიტორინგს უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

11.საჭიროების შემთხვევაში შშმ და სსმ პირებისათვის გადაადგილებაში დახმარების გაწევას უზრუნველყოფს უსაფრთხოების სამსახური.

12.კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შშმ და სსმ პირების ჩარიცხვა ხდება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში არსებული ჩარიცხვის წესის შესაბამისად.

13.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მუხლით დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

